პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

19 იანვარი ოთხშაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 15 (15228)

მათ თავი ისახელეს

ხუთი დღის დავალება შევასრულოთ ოთხ დღეში. ამ შეჯიბრებაში, რომელიც გაიმართა, დედაქალაქის საწარმოთა ბევრმა მუშამ ახახელა თავი. მათ შორის არის სახელი ჩარხებს ქარხნის მექანიკური უბნის მხლებელი ნუგზარ გაბრიჩიძე, რომელმაც ვადამდე გაანაღდა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება და დროს გაუსწრო.

მოწინავე მხლებელი ნ. გაბრიჩიძე კარგად შრომობს ახალ წელსაც. მან ვალდებულება აკისრა ყოველი ცვლის დავალება 130-140 პროცენტით შეასრულოს. იანვრის პირველი დეკადის მარეგულებლებით მოწინავე მხლებელი პირობას გადაჭარბებით ასრულებს.

ხურათზე: ნუგზარ გაბრიჩიძე. ფოტო ნ. ბიგოზიანის.

ეხმაურებიან მოსკოველთა თაოსნობას

დამკვრელური შრომით აღვნიშნოთ ყოველი დღე

თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში

დედაქალაქის უხუცეს საწარმოს სოციალისტური შეჯიბრების სახელოვანი ტრადიცია აქვს. შეჯიბრების ახლებური ორგანიზაციით, მისი საჯაროობით ჩვენი კოლექტივი წლიდან წლამდე ზრდის შრომის ნაყოფიერებას, წარმატებით განაგრძობს საწარმოს რეკონსტრუქციას. სწორედ სოციალისტური შეჯიბრების მეოხებით მივაღწიეთ მაღალ მაჩვენებლებს გასულ წელს, დავალება ვადაზე ადრე შესრულდა. ვეგმის გადამეტებით რეალიზებულია 144 ათასი მანეთის პროდუქცია, შეკეთებულია 445 სამგზავრო ვაგონი, 50 ელექტროსეკცია, ვეგმის ზევით გამოშვებულია 49 ტონა თუჯისა და 5 ტონა ფერადი ლითონის სხმული.

ჩვენმა კოლექტივმა კარგად დაიწყო ახალი წელიც. საამქროებში და უბნებზე დავალებები გადაჭარბებით სრულდება, კოლექტივი იბრძვის იმ დიდი ამოცანების გადაჭრისათვის, რომლებიც მის წინაშე დგას მიმდინარე წელს და ხუთწლედში. ყველა დავალების წარმატებით განაღდებისათვის მხადყოფნის ნიშნით ჩაიარა ქარხნის საერთო კრებამ, რომელზეც ჩვენმა კოლექტივმა მხარი დაუჭირა მოსკოველთა თაოსნობას და აკისრა გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებანი.

ჩვენი ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა: ქარხნის შემდგომი ტექნიკური შეიარაღებით, საწარმოო საამქროთა რეკონსტრუქციით, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებათა დანერგვით, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებით 1975 წლისათვის 1970 წელთან შედარებით 40,4 პროცენტით გაადიდოს სამგზავრო ვაგონების შეკეთება, 73,9 პროცენტით — ელექტროსექციების შეკეთება, ფერადი სხმულის დამზადება — 75 პროცენტით, დაზოგილი მასალებითა და ნედლეულით ხუთწლედში გამოუშვას 10 სამგზავრო ვაგონი, 3 ელექტროსექცია, აქედან მიმდინარე წელს 2 ვაგონი და 1 ელექტროსექცია.

ხუთწლედში სამშობლოს ვეგმის გადამეტებით მისცეს 500 ტონა ნაკეთი, ხოლო წელს — 148 ტონა; შრომის ნაყოფიერების ზრდის კომპლექსურ ვეგმებზე დაყრდნობით სამუშაო ადგილებზე, სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ხუთწლიანი დავალება შეასრულოს 1975 წლის 25 დეკემბრისათვის, 1972 წლისა კი — 21 დეკემბრისათვის, პროდუქციის რეალიზაციის წლიური ვეგმა გაანაღდოს 25 დეკემბრისათვის.

ტექნიკური პროგრესის გზით ხუთწლედში 30 პროცენტით გაადიდოს პროდუქციის გამოშვება, 65 პროცენტამდე აიყვანოს სამუშაოთა მექანიზაციის დონე; 1972 წელს 0,3 პროცენტით შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება და ამით მიიღოს 30 ათასი მანეთი მოგება.

ხუთწლედში შრომის ნაყოფიერება გაზარდოს 40 პროცენტით, დაზოგოს 1.350 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, წარმოებაში დანერგოს მნიშვნელოვანი რაციონალიზატორული წინადადებანი და მიიღოს 300 ათასი მანეთი ეკონომია, აქედან 1972 წელს — 62 ათასი მანეთი;

გავსრულდა რა ამ ვალდებულებებს, ვიწყებთ შეჯიბრებას 1-მდინარე წლისა და ხუთწლედის ვეგმების ვადამდე შესრულებისათვის, შეჯიბრებაში ვიწვევთ კიეველ ელექტროვაგონშემკეთებლებს და მოვუწოდებთ საქართველოს ყველა საწარმოს კოლექტივებს შარი დაუჭირონ მოსკოველთა თაოსნობას, გაიაზრონ შეჯიბრება, რომ ერთობლივი ძალით ვადამდე შეგასრულოთ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივის დავალებით: ა. მასხარაშვილი — ქარხნის უფროსი; ზ. ბილაური — პარტიული კომიტეტის მდივანი, მ. სიმონავა, — პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე, მ. ღვინიაშვილი—კომკავშირის კომიტეტის მდივანი, ვ. კაციტაძე — ხამჭოს უფროსი, ვ. ბეშუაშვილი — ელექტროზენეკალთა ბრიგადის ხელმძღვანელი, კ. ილურიძე — მეჯედელი, სოციალისტური შრომის გმირი, გ. ბაბალილაძე — ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

თბილისის № 1 წისქვილკომბინატში

ეზმაურებიან მოსკოველთა თაოსნობას

აი რა იკისრეს

№ 2 მაცივარში

მაცივრის კოლექტივმა შეასრულა გასული წლის შედეგები. შარშან თბილისის და საქართველოს რაიონებისა და კურორტების მოსახლეობას მიეყიდა 13 ათასი ტონა ფართო ასორტიმენტის თევზი; 2.500 ტონა თევზის კონსერვი, 5 ათასი ტონა ქერთული და ეფრუსული ყველი. საქონელბრუნვის ვეგმა შესრულდა 16 დეკემბრისათვის, მოსახლეობას ვეგმის გადამეტებით მიეყიდა 1.214 ათასი მანეთის პროდუქცია.

ნაკისრია ახალი ვალდებულებანი: მაცივრის კოლექტივმა გადაწყვიტა ხუთწლედის საქონელბრუნვისა და რეალიზაციის ვეგმა შეასრულოს 1975 წლის 5 დეკემბრისათვის, ვეგმის გადამეტებით მოუხდინოს 2 მილიონი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია, ხოლო ხუთწლედის მეორე წლის ვეგმა შეასრულოს 25 დეკემბრისათვის და ვეგმის გადამეტებით მიაწოდოს მოსახლეობას 500 ამოსაღი მანეთის პროდუქცია. 1972 წელს გასულ წელთან შედარებით რეგიონების რაიონებისა და დედაქალაქის მოსახლეობა მიიღებს 1 მილიონ 82 ათასი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქტს.

საბჭოების მაღალი პასუხისმგებლობა

ბევრი სოციალისტური სახელმწიფოს მთელი ისტორია, მისი დიადი გამარჯვებანი ახალი საზოგადოების მშენებლობის გზებზე განუყრელად დაკავშირებულია სახალხო ხელისუფლების ორგანოების — შრომელთა დეპუტატების საბჭოების განვითარებასა და განმტკიცებასთან. მათ მიერ შეძენილი გამოცდილება ფასდაუდებელი სიმდიდრეა. მაგრამ ცხოვრება წინ მიდის, იგი დაბეჯითებით მოითხოვს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ყველა რგოლის მუშაობა განუწყვეტლივ უმჯობესდებოდეს, შეეხამებოდეს დროის მოთხოვნებს, ახალ ამოცანებს.

სკკპ XXIV ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო საბჭოების როლის შემდგომი გაძლიერების საკითხებს და საზაგასით აღნიშნა, რომ ახანი კიდევ უფრო სრულად უნდა ასრულებენენ თავიანთ ფუნქციებს, ქმედითს გავლენას ახდენდნენ ეკონომიკის, კულტურის განვითარებაზე, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე, გულმოდგინედ სწავლობდნენ მოსახლეობის სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა მხარეს, იცავდნენ საზოგადოებრივ წესრიგს.

შარშან მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველებთან შეხვედრაზე გამოსვლისას ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ საბჭოებმა უნდა იკისრონ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების, მეცხრე ხუთწლედის ვეგმების პრაქტიკულად შესრულებისათვის მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილი. საბჭო სახალხო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა თავის ტერიტორიაზე, ქალაქის, რაიონის, დაბის, სოფლის ბატონ-პატრონია, და იგი უნდა ფიქრობდეს ყველაფერზე, ზრუნავდეს ადგილობრივი რესურსებისა და რეზერვების უფრო სრულად გამოყენებისათვის, ამისათვის, რომ ხალხი უკეთ ცხოვრობდეს და მუშაობდეს.

უკანასკნელი წლების მანძილზე მთელი რიგი დიდი ღონისძიებანი განხორციელდა ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის გასაუმჯობესებლად. ეს ღონისძიებანი შეეხო ჩვენი საბჭოთა სისტემის ყველა რგოლს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოთა დაწყებულს და სასოფლო და ხადაბო საბჭოებით დამთავრებულს. გაიზარდა მოდმენი კომისიების რიცხვი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში, უფრო ორგანიზებული გახდა მათი საქმიანობა. გაფართოვდა რაიონული, საქალაქო, სასოფლო და ხადაბო საბჭოების უფლებანი, კერძოდ ისეთ დიდმნიშვნელოვან დარგში, როგორიც არის საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა მუშაობის კოორდინაცია საბჭოების კომპეტენციის ფარგლებში. განმტკიცდა ხელისუფლების ორგანოების მატერიალურ-ფინანსური ბაზა ადგილებზე, საბჭოთა აპარატს შეემატა კვალიფიციური კადრები.

საბჭოები დღეს უზარმაზარი ძალაა, რომელიც ქმედითს გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეზე. საბჭოებში ორ მილიონზე მეტი დეპუტატია, რომლებიც ეყრდნობიან მრავალრიცხოვან ნებაყოფლობითს თანაშემწეებს. საკმარისია ითქვას, რომ 26 მილიონი კაცი მონაწილეობს ახლა მშრომელთა სხვადასხვა თვითმოქმედ ორგანიზაციებში, საზოგადოებრივი თვითმართველობის ორგანოებში. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ამას, რომ სახალხო ხელისუფლების ორგანოების მუშაობა მთლიანად უფრო აქტიური და მრავალმხრივი გახდა. განსაკუთრებით შესამჩნევად გაუმჯობესდა სასოფლო, ხადაბო, რაიონული და საქალაქო საბჭოების საქმიანობა.

მოვიყვანოთ მრავლიდან ერთ-ერთი მაგალითი. სმოლენსკის ოლქში არის როსლავის სასოფლო საბჭო. საბჭოში სულ 25 დეპუტატია. მაგრამ მათ დიდი აქტივი ჰყავთ: ამომრჩეველთა განაწესის შესრულებაში, საზოგადოებრივ საქმეებში აქ პრაქტიკულად მონაწილეობს მთელი მოზრდილი მოსახლეობა. საბჭო ქმედითს გავლენას ახდენს კოლმეურნეობებზე გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებისათვის. მისი ინიციატივით მოავრდება დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობა. აშენდა ახალი რვაწლიანი სკოლა, საცხოვრებელი სახლები მასწავლებლებისათვის. გაიხსნა საყოფაცხოვრები სახლი, კლუბი, ხადაც არის სტაციონარული ფართოეკრანიანი კინოდანადგარი, ბიბლიოთეკა, ბრიგადის სახლი. გაუმჯობესდა ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა. ცენტრალურ დასახლებაში მუშაობს მუსიკალური სკოლა.

საბჭოების წარმატებითი საქმიანობის დიდმნიშვნელოვანი პირობაა ყოველდღიური პარტიული ყურადღება და დახმარება. ავიღოთ ოგივე როსლავლის სასოფლო საბჭო. სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების კეთილნაყოფიერ გადაწყვეტას აქ დიდად განსაზღვრავს ის, რომ საბჭოს მუდამ უმეტეს ზარის პირველადი პარტიული ორგანიზაცია. იგი მკაცრად მოპკითხავს კომუნისტ დეპუტატებსა და აღმასრულებელი კომიტეტის მუშაკებს ვალდებულებათა ზუსტად შესრულებისათვის, უნერგავს მათ ხალხის წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას, მუდამ უწევს კონტროლს აპარატის მუშაობას პარტიისა და მთავრობის დირექტივების, საბჭოთა კანონების შესრულებისათვის.

საბჭოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფის გზებზე განსაზღვრა სკკპ XXIV ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „მშრომელთა დეპუტატების რაიონული და ხალაქო საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. რა მოეთხოვებათ ახლა პარტიულ კომიტეტებს? უწინარეს ყოვლისა მათ უნდა გააძლიერონ ზრუნვა იმისათვის, რომ ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოები, ყველა დეპუტატი მთლიანად ასრულებდნენ თავიანთ ფუნქციებს. ცნობილია, რომ ადგილობრივი საბჭოები განაგებენ რთულ სოციალურ-ეკონომიურ კომპლექსს — ვაჭრობის, ტრანსპორტის, კომუნალური მეურნეობის, კულტურისა და ყოფაცხოვრების მრავალ საწარმოსა და ორგანიზაციას. საბჭოთა ორგანოებს ეკისრებათ დიდი პასუხისმგებლობა საბინაო მშენებლობის გეგმების შესრულებისათვის, მასობრივი მოთხოვნილების საქონლის გამოშვების გადიდებისათვის, საყოფაცხოვრებო მომსახურების გაფართოებისათვის. მთელი ამ კომპლექსის ზუსტი საქმიანობის მოგვარება, რეზერვების მაქსიმალურად გამოყენება მშრომელთა საარსებო საჭიროებების უკეთ დაკმაყოფილებისათვის უპირველესი მნიშვნელობის საქმეა.

მუდმივი ყურადღების ღირსია საბჭოთა ორგანოების მუშაობის სტილი და მეთოდები. პარტიული კომიტეტები საბჭოების მაგივრობას კი არ უნდა სწევდნენ, წვრილმან მეურვეობას კი არ უნდა უწევდნენ მათ, არამედ უნდა ამაღლებდნენ საბჭოების ავტორიტეტს, გაძლიერებდნენ პრინციპული, პოლიტიკურად მომწიფებული და მოზრდილი კადრებით, ავითარებდნენ მათ დამოუკიდებლობას, ზრდიდნენ ყველა მუშაკს ჩვენი კანონების, ხალხმწიფო დისციპლინის განუხრელად დაცვის სულისკვეთებით.

პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოების ხეხიების როლის გაძლიერებას, აღმასრულებელი ორგანოების ანგარიშვალდებულების პრინციპის განხორციელებას, ისეთი ვითარების შექმნას, როცა ყველა დეპუტატი შეძლებს აქტიურად მონაწილეობდეს საკითხების გადაჭრაში, ავლენებდეს და აღმოფხვრიდეს ნაკლოვანებებს. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ დეპუტატები რეგულარულად ხვდებოდნენ ამომრჩეველს, ანგარიშს აბარებდნენ მათ. ამ მხრივ ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა გავლენა აქვთ აღმასკომების პირველ-ლს პარტიულ ორგანიზაციებს, პარტიულ ჯგუფებს საბჭოებში, ბევრი რამ არის დამოკიდებული კომუნისტი დეპუტატების პირად მაგალითზე.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოები გადაიქცევნენ ხალხის ყოვლისმომცველ ორგანიზაციად, მძლავრ პოლიტიკურ და მაორგანიზებელ ძალად. მათი საქმიანობის ყველა მხარის თანმიმდევრული განვითარება პარტიას მიაჩნია საბჭოთა საერთო-სახალხო ხალხმწიფოს შემდგომი განმტკიცების მაგისტრალურ ხაზად.

ПРАВДА

18 იანვრის მოწინავე.

ჩვენს დიად საშობლოში

დარბაზობა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან

17 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში ამხ. ბ. ხნოუპეკი სამშობლოში მის გამგზავრებასთან დაკავშირებით და ესაუბრა მას. საუბარმა გულთბილ და გულითად ვითარებაში ჩაიარა.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მიულოცა ამხ. ბ. ხნოუპეკს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე დანიშნა და წარმატება უსურვა მუშაობაში.

მოსკოვში ჩამოვიდნენ ბულგარელი მეგობრები

17 იანვარს მოსკოვში ჩამოვიდა ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საყოველთაო-სახალხო კომიტეტის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, კომიტეტის თავმჯდომარე ცოლო დრაგოიჩევი. (საკდესი).

ღირსშესანიშნავი თარიღი პარტიის ისტორიაში

18 იანვარს 60 წელი შესრულდა რსდმპ სრულიად რუსეთის VI (პრაღის) კონფერენციის გახსნის დღიდან. ამ კონფერენციის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენი პარტიის ისტორიაში, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში. პრაღის კონფერენციამ, რომელიც ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა, შეაჯამა მენშევიზმის წინააღმდეგ ბოლშევიკთა ბრძოლის მთელი ისტორიული პერიოდის შედეგები.

ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელიც 17 იანვარს გაიმართა მოსკოვში. სხდომაში მონაწილეობდნენ მეცნიერი ისტორიკოსები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ვეტერანები, ჩეხოსლოვაკიელი მეგობრები.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა პ. ნ. ფედოსეევმა.

პრაღის პარტიული კონფერენციის ისტორიული მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლ. მ. კუტუზოვმა.

დარბაზში, სადაც სამეცნიერო საბჭოს სხდომა მიმდინარეობდა, გახსნილია პრაღის კონფერენციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. (საკდესის კორ.).

მცდარი პოლიტიკა

თბილისი, 18 იანვარი. (საკდესი). სარდაქციო სტატიაში, რომელიც ეხება სამხედრო შეთანხმების დადებას ბაპრეინის კუნძულზე ამერიკის სამხედრო-საზღვაო ბაზის შექმნის შესახებ, გაზეთი „ეთელათი“ გაკვირვებას გამოთქვამს ამის გამო, რომ „ინგლისის იმპერიალიზმის ბატონობისაგან სპარსეთის ყურის რაიონის განთავისუფლებისათვის ყველა ღონისძიების შემდეგ მეორე სახელმწიფოს ნება ეძლევა დაიკავოს აქ ინგლისის ადგილი“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ თუმცა ბაპრეინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებს ამერიკის შეერთებულ შტატებთან შეთანხმებას და ცდილობს დამტკიცოს, რომ ამერიკის სამხედრო ხომალდების ყოფნა ჩვეულებრივი საქმეა, მიუხედავად ამისა ამ შეთანხმების დადების თვით ფაქტი ეჭვს იწვევს.

გაზეთი აღნიშნავს, რომ უეჭველია პოზიცია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა, რომელიც მუდამ აცხადებს, რომ მსარს უჭერს სხვების თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, და ამავე დროს ნებას აძლევს თავის თავს იფოფოლოს ხანი სამხედრო ხომალდი სხვის წყლებში, რაც დაძაბულ ვითარებას ქმნის იქ.

ბევრი ქვეყანა საკმაოდ სამართლიანად აცხადებს პროტესტს ამერიკის სამი სამხედრო ხომალდის სპარსეთის ყურეში ყოფნის წინააღმდეგ. „ჩვენ კიდევ უფრო მეტი უფლება გვაქვს პროტესტი განვაცხადოთ ამ არაგონივრული მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც, ეჭვი არ არის, ეწინააღმდეგება რეგიონალური უსაფრთხოების ინტერესებს, და მოვითხოვოთ, რომ ამერიკის შეერთებულმ შტატებმა გადასინჯოს თავისი მცდარი პოლიტიკა და რაც შეიძლება მალე დატოვოს სპარსეთის ყურის რაიონი“, — წერს გაზეთი. მსოფლიოს ყველა ქვეყანამ, ხაზს უსვამს იგი, უნდა იცოდეს, რომ სპარსეთის ყურე დახურულია იმპერიალისტური ხახელმწიფოების ხრიკებისათვის.

ᲘᲣᲔᲜᲔᲒᲔᲜ ᲨᲣᲐᲛᲘᲐᲜ ᲒᲐᲖᲔᲒᲡ

ლონდონი. 18 იანვარი. (საკდესი). აფრიკელთა ახალი დიდი გამოსვლები მოხდა როდეზიის სიდიდით მესამე ქალაქ გველოში. გამოსვლების ჩასახშობად გამოძახებულმა პოლიციამ აფრიკელთა წინააღმდეგ ზახამიანი გაზი გამოიყენა.

გველოში მომხდარი ამბები განვითარდა შაბანის შახტებში სისხლიანი ხოცვა-ყლეტის რამდენიმე დღის შემდეგ. იქ პოლიციამ ცეცხლი დაუშინა გაფიცულ მეშახტეებს, მოკლა ერთი აფრიკელი ახალგაზრდა და დაჭრა ცხრა მუშა.

ᲔᲨᲘᲜᲘᲐᲗ ᲛᲔᲮᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. 18 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). მას შემდეგ, რაც მხილებულ იქნა ვაშინგტონის ორპირობა ინდოეთ-პაკისტანის ამასწინანდელი კონფლიქტის დროს, ხელისუფალნი მკაცრ ღონისძიებებს ხმარობენ, რათა თავიდან აიცილონ ამგვარი სკანდალები მომავალში, როგორც თეთრი სახლის წარმომადგენელმა განაცხადა, პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა გასცა განკარგულება „გაამეტერონ უშიშროების ღონისძიებანი“ და შეუძლებელი გახადონ გამოქვანება ინფორმაციისა მთავრობის მოქმედების შესახებ.

„ჩვენ ვერ ვიმოქმედებთ ეფექტიანად იმ პირობებში, როცა ასეთი რამ საქვეყნოდ მეღალნდება“, — აღიარა თეთრი სახლის წარმომადგენელმა, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა ის, რომ ამერიკელმა ჟურნალისტმა ჯ. ანდერსონმა გამოაქვეყნა ეგრეთ წოდებული „მოქმედების სპეციალური ჯგუფის“ სხდომების მასალები, ჯგუფისა, რომელსაც მეთაურობს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში გ. კისინჯერი. ეს განცხადება თეთრი სახლის პირველი კომენტარია ანდერსონის ბუღლიკაციებთან დაკავშირებით.

გამოთქვა რა მთავრობის „შეშფოთება“ იმ ინფორმაციის გამქაღავნების გამო, რომელიც არ იყო განკუთვნილი პრესისათვის, თეთრი სახლის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ პრეზიდენტმა ნიქსონმა გასცა განკარგულება მოახდინონ გულდასმით გამოძიება, რათა გამოარკვიონ, როგორ ჩაუვარდა ანდერსონს ხელში საიდუმლო დოკუმენტები.

ᲨᲘᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲡ: „ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲘᲜᲐ ᲠᲐᲠᲘᲡ! ᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲘᲪᲘᲡ!“

კარიკატურა ამერიკის ჟურნალ „ტაიმიდან“.

იანვარში ლოს-ანჯელესში მოვწყო ელსბერგის საქმის წინასწარი მოსმენა. გასული წლის ზაფხულში ელსბერგმა ამერიკის ზოგიერთი გაზეთის რედაქციებს გადასცა პენტაგონის საიდუმლო დოკუმენტები, რომლებიც ამხილებენ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას ინდოჩინეთში. (ბაზმეთი).

ᲤᲘᲓᲔᲚ ᲙᲐᲡᲢᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ჰავანა, 18 იანვარი. (საკდესი). კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო გამოვიდა საგანგებო წერილის მონაწილეთა წინაშე, რომელიც გაიმართა პინარ-დელ-რიოს პროვინციაში კუბაში რევოლუციური შეიარაღებული ძალების 15 წლისთავთან დაკავშირებული ზეიმის დამთავრების გამო.

ფ. კასტრომ აღნიშნა მანვერების მონაწილე ყველი შენაერთის ერთსულოვანი მოქმედება, დიდად შეაფასა რევოლუციური სამხედრო ძალების მეომართა საბრძოლო მომზადება, რომლებსაც სამშობლომ მიანდო თანამედროვე სამხედრო ტექნიკა.

ᲛᲝᲡᲔ ᲗᲝᲘᲫᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მხატვრის სახლ-მუზეუმში

თიმოძმს ოცდაათი წლის შემდეგ კვლავ გამოცოცხლდა წულუკიძის ქუჩაზე მდებარე სახლი, სადაც გუშინ, 18 იანვარს გაიხსნა სახლ-მუზეუმი სსრ კავშირის სახალხო მხატვრის მოსე თოიძისა, რომლის დაბადების 100 წლისთავი ამ დღეებში ფართოდ აღინიშნება ჩვენს რესპუბლიკაში.

შესასვლელშივე, სახლ-მუზეუმის ხუთიდან ერთ ოთახში ფოტოსურათები. აი მოსე თოიძე მეგობართა, მოწაფეთა, მისი ნიჭის თაყვანისმცემელთა შორის. სურათებიდან შეიგებერიან ხავსებით ახალგაზრდა სახეები — ამჟამად ცნობილი მხატვრები, რომელთა შემოქმედებითი გზა დაკავშირებულია მოსე თოიძის — ქართული ფერწერის დიდოსტატის, ქართულ სახვითს ხელოვნებაში რეალისტურ-დემოკრატიული მიმართულების ფუძემდებლის — სახელთან.

ძველ ფოტოსურათებზე აღბეჭდილი ბევრი მხატვარი მოვიდა სახლ-მუზეუმში, რათა დიდი პატივი ეცა მასწავლებლისა და მოძღვრისა, ეგრეთ ბევრი ხსოვნისათვის.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲮᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ ᲛᲘᲠᲘᲐᲜ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔᲡ.

ᲐᲮᲚᲐᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲝᲡᲔ ᲗᲝᲘᲫᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲗᲘ ᲓᲘᲓᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲮᲕᲘᲗᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲚᲘ ᲠᲔᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲣᲫᲔᲛᲓᲔᲑᲔᲚᲘᲡ — ᲡᲐᲮᲔᲚᲗᲐᲜ.

ᲛᲔᲠᲛᲔ ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲘᲗ ᲐᲦᲓᲒᲔᲑᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲐᲚᲑᲝᲛᲘ ᲛᲝᲡᲔ ᲗᲝᲘᲫᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲝᲡᲔ ᲗᲝᲘᲫᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲛᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲡᲒᲐᲜ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ — ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲡ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲒᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲐ

ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲔᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲙᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲡᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲔᲢᲐᲞᲘ ᲐᲛᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲜᲐᲛᲔᲜᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲘ ᲐᲛᲐᲚᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ, — ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲛᲐ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲠᲘᲗ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲐᲓᲔᲑᲓᲔᲡ ᲡᲐᲡᲣᲤᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲐᲙᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲘᲐᲠᲗᲔᲑᲐ — 1,3-ᲯᲔᲠ, ᲙᲐᲚᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲛᲐᲜᲒᲐᲜᲐᲢᲘᲡ — 4,6-ᲯᲔᲠ. ᲣᲜᲓᲐ ᲐᲘᲗᲕᲘᲡᲘᲡᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ — ᲕᲘᲜᲓᲔᲒ ᲪᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲘᲪᲮᲘᲡ, ᲛᲐᲜᲒᲐᲜᲣᲛᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲚᲘᲖᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

ᲙᲘᲛᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲛ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐ ᲨᲔᲘᲛᲣᲨᲐᲝᲡ ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ ᲠᲔᲥᲢᲝᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲙᲘᲛᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲐᲛᲐᲚᲔᲑᲘᲡ, ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲘᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ ᲣᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲠᲘᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲤᲚᲐᲒᲛᲐᲜᲛᲐ, — ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲛᲐ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲠᲘᲗ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲐᲓᲔᲑᲓᲔᲡ ᲡᲐᲡᲣᲤᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲐᲙᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲘᲐᲠᲗᲔᲑᲐ — 1,3-ᲯᲔᲠ, ᲙᲐᲚᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲛᲐᲜᲒᲐᲜᲐᲢᲘᲡ — 4,6-ᲯᲔᲠ. ᲣᲜᲓᲐ ᲐᲘᲗᲕᲘᲡᲘᲡᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ — ᲕᲘᲜᲓᲔᲒ ᲪᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲘᲪᲮᲘᲡ, ᲛᲐᲜᲒᲐᲜᲣᲛᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲚᲘᲖᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

ᲐᲮᲚᲐ ᲐᲛ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲠᲝᲑᲐᲛ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲝᲠ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲚᲘᲜᲘᲡᲐᲜᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲣᲚᲘ ᲡᲐᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐ ᲛᲘᲗᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛ

მოსე თოიძის დაბადების 100 წლისთავისათვის

საშოგლოს მხატვარი

მოსე თოიძე

ქართული სახვითი ხელოვნების დღევანდელ მიღწევებზე როდესაც ვლაპარაკობთ, გვახარებს ახალგაზრდა თაობის მხატვართა წარმატებანი საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე. როდესაც თვალს ვავლებთ უკანასკნელი ათეული წლების მონაპოვარს ეროვნულ მხატვრობაში, უნებლიედ გვახსენდებიან ისინიც, ვინც იმთავითვე სათავეში ჩაუდგა ახალ მხატვრობას, ვის სახელთანაც განუყრელად არის დაკავშირებული გარდამავალი ეპოქის ქართული სახვითი კულტურის აღორძინება და რეალისტური ხელოვნების საფუძველზე ხალხის უფართოესი მასების მხატვრული გათვითცნობიერება. მათ რიცხვს, პირველ რიგში, სამართლიანად მიაკუთვნებენ მოსე თოიძეს — ქართული ფერწერის გამოჩენილ ოსტატს, შესანიშნავ პედაგოგს და ნაზოგადო მოღვაწეს.

ეს თითქმის ორი ათეული წელია, რაც მოსე თოიძე ჩვენს შორის აღარ არის, მაგრამ დღემდე არ გამქრალა განსაკუთრებული მოწიწებისა და მადლიერების გრძნობა ამ ჭეშმარიტად დიდი ხელოვანის მიმართ, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქართულ საბჭოურ მხატვრობას, გაკვალა მისი განვითარების გზა, დასაბამი მისცა ახალი ეპოქის სუნთქვასა და მაჯისცემას ქართულ სახვით ხელოვნებაში.

მოსე თოიძე უფროსი თაობის მხატვართაგან პირველია, ვინც მთელი არსებით ჩაება საბჭოთა საქართველოს ყოველდღიურ საქმიანობაში. არ იყო არც ერთი ახალი მოვლენა ხელოვნებისა თუ ხელოვნებათმცოდნეობის განვითარებაში, არც ერთი წამოწყება, რომელსაც იგი პატრიოტული გატაცებით არ გამოხმაურებოდეს.

პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული, რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული, კერძოდ, „პერედვიჟნიკული“ მიმართულების თანამოზიარე, დიდი რუსი მხატვრის ილია რეპინის საყვარელი მოწაფე მოსე თოიძე სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ხარბად, სიყვარულით ეწაფება ეროვნულ ტრადიციებს ხელოვნებაში, დაუღალავად იღვწის ქართული მხატვრობის აღორძინებისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის.

მაგრამ ჭეშმარიტად მაღალაყოფიერი ხანა მხატვრის მოღვაწეობაში იწყება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. მოსე თოიძემ მძაფრად შეიგრძნო ახალი დიდი ეპოქის დასაწყისი და მთელი არსებით შეუერთა თავისი ხმა გამარჯვების ხაერთო სიმღერას. იგი წერს ფერწერულ ტილოებს მუშათა და კოლმეურნეთა ცხოვრებიდან, გადმოსცემს ხალხის თავდადებული, გმირული შრომის პათოსს, პატრიოტულ ხულისკვეთებას.

მოსე თოიძე ახალი საბჭოთა ხელოვნების იდეური პრინციპების განმტკიცებისათვის დაუცხრომელი მებრძოლია. ფასდაუდებელია მისი ღვაწლი ქართველ მხატვართა მთელი პლეადის აღზრდის, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების, პროფესიული დოსტატების საქმეში. 1922 წელს იგი ხსნის სახალხო სამხატვრო სტუდიას და ფართოდ უღებს კარს ხალხის წიაღიდან გამოსულ ნიჭიერ ახალგაზრდებს. დაახლოებით ათი წლის მანძილზე ამ სტუდიამ შვიდასამდე მოწაფე გამოუშვა და მრავალი შესანიშნავი კადრი მოამზადა უმაღლეს სამხატვრო სასწავლებელში — თბილისის სამხატვრო აკადემიაში შესასვლელად. ვრცელია იმ ხელოვანთა სია, ვინც ამ საუცხოო ფერმწერისა და ნაზოგადო მოღვაწის ხელმძღვანელობით გამოვიდა ფართო შემოქმედებითს ასპარეზზე. და თუ დღეს ქართული სახვითი ხელოვნება არაერთ გამარჯვებას ითვლის, თუ მას მსოფლიო ავტორიტეტი აქვს მოპოვებული, ამაში თვალსაჩინო წვლილი უდევს ღვაწლმოსილ მხატვარს, რომელსაც სიკვდილამდე არ დაუტოვებია პედაგოგის პოსტი.

რეალიზმს, მხატვრული სიმართლის ერთგულებას პრინციპულად ითხოვდა იგი აკადემიის სტუდენტებისაგან, რომელნიც პირველ ეტაპზე ძალიან მაყარ, საფუძვლიან აკადემიურ ცოდნას, შემდეგ კი ურჩევდა და ეხმარებოდა ეკლოთ დამოუკიდებელი გზით, მოენახათ საკუთარი ენა, სამყაროს დანახვისა და გადმოცემის ინდივიდუალური ნაშუალებანი.

ხალისიანი, ხიცოცხლის დამამკვიდრებელია მხატვრის მემკვიდრეობა. ეროვნულად, გატაცებით იღვწოდა იგი ხელოვნებასა თუ პედაგოგიურ სფეროში. ასეთი იყო იგი ყოველდღიურ ცხოვრებაშიც.

მაღალიდეურობა, ღრმა რეალიზმი, ეროვნულობა და თანადროულობის გრძნობა — ეი რა ახასიათებს საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის მოსე თოიძის ქმნილებებს. ამ გზითა და მიზანსწრაფვით მიჰყავდა მას თავისი მოწაფეებიც.

დღეს მთელი ქვეყანა, ქართველი ხალხი, ზეიმით აღნიშნავენ სახელოვანი თანამემამულის დაბადების 100 წლისთავს. ეს კი პირველ რიგში ქართული ხელოვნების ზეიმია, იმ ხელოვნებისა, რომლის განვითარებას უდიდესი ამაგი დასდო გამორჩენილმა მხატვარმა, პედაგოგმა და ნაზოგადო მოღვაწემ მოსე თოიძემ.

შოთა ჯაფარიძე,
საქართველოს მხატვართა კავშირის პირველი მდივანი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, პროფესორი.

ხალხის სიყვარული

ვრცელი და მრავალმხრივი იყო აკადემიკოს მოსე თოიძის ცხოვრებისა და შემოქმედების გზა, განათლებული, უანგარო, დიდი ადამიანური სიყვარულითა და მებრძოლი სულის შემართებით, ხალხის სამსახურისა და ქართული მხატვრობისათვის თავდადების შეენებით.

მოსე თოიძის შემოქმედების გზა არსებითად ახალი დროის ქართული სახვითი ხელოვნების გზაც არის. თოიძის ცხოვრება და მხატვრობა წარმოადგენს ერთგვარ მატიანეს ახალი ქართული ხელოვნებისა. მის მხატვრობაში მთლიანად და საოცარი სიცხადით არის არეკლილი ის პრობლემატიკა და არსი სამხატვრო ცხოვრებისა თუ ძიებათა, რაც კი ჩვენი ქვეყნის სოციალურმა ყოფამ და ახალმა პირობებმა დააყენა ახალი ქართული ხელოვნების წინაშე.

მოსე თოიძის თავისთავად ორიგინალური შემოქმედება იმავე დროს ისტორიულად შემუშავებული საფეხურია ახალი ქართული ხელოვნებისა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქართული ფერწერისა და სამხატვრო განათლების თვალსაზრისით. ჩვენს მხატვრობაში თოიძემ მთელ რიგ შემთხვევებში განავითარა და ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანა, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში ასლად დაუდო საფუძველი ფერწერის არა ერთ ჟანრს. იგი ერთი პირველთაგანი დადგა ქართული საბჭოთა ფერწერის სათავეში და დიდი მოღვაწე-ქმობრივი შემართებით ემსახურებოდა ქართულ საბჭოთა მხატვრობას.

ცხადია, არანაკლებ დიდი და მნიშვნელოვანია თოიძის დამსახურება ქართული საბჭოთა ფერწერის წინაშე, როგორც მხატვარ-პედაგოგისა, აღმზრდელი პროფესორისა.

მოსე თოიძე დაიბადა თბილისში 1871 წლის 21 ივნვარს. პატარა მოსეს კერძო სკოლაში უსწავლია, შემდეგ კი რკინიგზის სასელოსნო სასწავლებელში, სადაც იგი დაუფლებია ერძოდ გაკვეთილებზე — „მეზერლის სტუდიაში“, სადაც გენერლის ბავშვებს ხატვას ასწავლიდნენ. სასელოსნო სასწავლებელი მოსეს წარმატებით დაუმთავრებია და იგი იქვე დუტოვებიათ ხატვა-ხაზვის მასწავლებლად.

ვიდრე მ. თოიძე რუსეთში სამხატვრო აკადემიაში სასწავლებლად გამგზავრებოდა, უკვე დახატული ჰქონდა კ. მარქსის ფერწერული პორტრეტი დროშაზე, ლითოგრაფიული პორტრეტები რუსთაველისა, რ. ერისთავისა, ი. ჭავჭავაძისა, ა. წერეთლისა, ე. ნინოშვილისა, ა. ყაზბეგისა და სხვათა, რომლებიც იმ დროიდანვე უკვე ფართოდ გავრცელდა ხალხში. შემონახულია მისი ადრინდელი ეტიუდები: „ეზო“ და „კალო“ (1893-1895 წწ.) და სხვა ნამუშევრები, რომლებიც აჩვენებენ ახალგაზრდა კაცის ნიჭსა და შესაძლებლობებს.

ყმაწვილი კაცი პეტერბურგში სახწავლებლად გაემგზავრა ძმების ჩიტაძეებისა და მაქსიმ გორკის რჩევით. თოიძემ სწავლა სამხატვრო აკადემიაში დიდი რუსი მხატვრის ილია რეპინის დახმარებით დაიწყო. ყოველთვიურად დახმარებას უგზავნიდა ცნობილი ქართველი მოღვაწე დავით სარაჯიშვილი.

აკადემიაში სამხრეთელი ახალგაზრდის ბედსა და მომავალზე ზრუნავდნენ — რეპინი, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, გრაფი თევდორე ტოლსტოი, ცნობილი რუსი გრავიორი მატე. მასწავლებელთა ამგვარი ყურადღებით ყველა სტუდენტი როდი სარგებლობდა... გასული საუკუნის დასასრულს პეტერბურგში სტუდენტთა პოლიტიკური დემონსტრაციები გახშირდა. თოიძე, როგორც სტუდენტთა გაფიცვის მონაწილე, გარიცხეს უკანასკნელი კურსიდან...

საქართველოში დაბრუნებული, დიდ მხატვრულ იღეებს ზიარებული ახალგაზრდა მოსე მოგზაურობს ქალაქებსა და სოფლებში, მოწმე ხდება ცხოვრების საოცარი კონტრასტებისა — ერთი მხრივ მშობლიური მხარის გასაოცარი სილამაზე, მეორე მხრივ კი გამოუვალი სიღარიბე, გაჭირვება, ხალხის ჩაგვრა...

მოსე თოიძემ სადიპლომო სურათი „მცხეთობა“ თანამემამულეებს პირველად 1901 წელს აჩვენა. ჭაბუკის ნიჭი საკვეყნოდ ეწია აღიარებულიეიურიმ თოიძეს „მცხეთობისათვის“ ოქროს მედალი მიაკუთვნა. საქართველოში ეს იყო მხატვრობაზე გაცემული პირველი პრემია... „მცხეთობა“ თოიძემ საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადასცა უსასყიდლოდ. „მცხეთობის“ კომპოზიცია, მისი წყობის მხატვრული სისტემა, პერსონაჟთა დახასიათების კონტრასტულობა, ფართო ფერწერა და მაჟორი კოლორიტისა ამ ნაწარმოებს ახალი ქართული მხატვრობის დიდ და თვალსაჩინო მიღწევად აქცევს და ქართული მწერლობის ტრადიციებთან აკავშირებს.

სამშობლოში დაბრუნების პირველი დღიდანვე მოსე თოიძისათვის შთაგონება შეარჩიოს და გამოპყოს ცხოვრებიდან, გარემოდან ყოველივე მხოლოდ მნიშვნელოვანი და საყურადღებო“.

მოსე თოიძე ახალი დროისა და ნაბჭოთა ხანის ქართული მხატვრობის კოლოსალური ფიგურაა, საეტაპო მისი შემოქმედება. მოსე თოიძის მემკვიდრეობა არა მარტო მისი ხელოვნების მაღალი დონის, არამედ მთლიანად ქართული მხატვრობის დიდი ღირებული, მისი ეროვნულობის, მისი გასუმეორებლობის დადასტურებაა. მოსე თოიძის მემკვიდრეობა დღეისათვის უკვე წარმოადგენს ეროვნულ ტრადიციას. თოიძის მხატვრობა არის დიდი წვლილი, ჩვენი ფერწერის ისტორიაში შეტანილი.

თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მოსე თოიძემ სურათების, ეტიუდებისა და ესკიზების დიდი რაოდენობა შექმნა. მათი რიცხვი ორი ათასს აღემატება.

მოსე თოიძის შემოქმედება, მხატვრის ცხოვრების მთელი გზა ადასტურებს, რომ თოიძე ქართული მხატვრობის საუკეთესო ტრადიციათა მემკვიდრე და საუკეთესო გამგრძელებელია. მოსე თოიძე ახალი დროის ქართული მხატვრობის ისტორიაში შემოდის როგორც დიდი ფერმწერი, მშობლიური ხალხის ცხოვრების, ბრძოლების, გამარჯვებათა და ზეიმთა ამსახველი რეალისტი მხატვარი, მიხვეის დამაშვრალი და ამაგდარი ხელოვანი.

შალვა კვასხვაძე.

მოგონების ერთი ფურცელი

უკვე ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც მე მოსე თოიძის სახალხო სამხატვრო სტუდიაში ვსწავლობდი. რაც დრო გადის, ამ სტუდიის როლი და მოსე თოიძის უდიდესი დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე უფრო და უფრო თვალსაჩინოდ ჩანს.

ჩვენ თავიდანვე, დიდი სიხარულით და მონდომებით მივაშურეთ ამ სტუდიას, რადგან ამგვარი დაწესებულება საქართველოში არსად არ გვეგულებოდა.

მ. თოიძისათვის პირადი არაფერი არსებობდა. მართალია, მატერიალურ ხელმოკლეობას განიცდიდა, მაგრამ რა სასსრებიც კი ჩაუვარდებოდა ხელში, ყველაფერს სტუდიას ანმარდა.

მოსე თოიძეს სახელოსნო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული და დიდად უხაროდა, როდესაც მასთან მუშა ახალგაზრდობა მოდიოდა. მისი ოცნება იყო შეეტანა სახვითი ხელოვნების კულტურა მუშათა მასებში. ხშირად გვიყვებოდა თავის თავგადასავალს, გვიამბობდა ხალხის გაჭირვებაზე... აკადემიურ ხელოვნებასთან ერთად კომპოზიციებზე მუშაობაში წამყვანი ჩვენთვის შრომითი თემა იყო.

ჩემს სიცოცხლეში არ დამახვიწყდება გამოფენა, რომელიც დღევანდელი კულტურის სამინისტროს მაშინ დამწყებ-დანგრეული შენობის დარბაზებში მოეწყოთ. ამა ვინ გამეიგავდა უკარებო და უფანჯრო შენობაში გამოფენის მოწყობას თუ არა დიდი ენთუზიასტი და პატრიოტი მ. თოიძე.

სტუდიაში აღზრდილებს მოსე, ცხადია, სტუდიის დამთავრების შემდეგაც არ ივიწყებდა. ყოველთვის მეკითხებოდა ხოლმე, თუ როგორ მიმდინარეობდა ჩემი საქმე, ასევე სხვებსაც. ამ დროს სტუდიამ უდიდესი როლი შეასრულა ახალგაზრდა მხატვრების გამოვლინებისა და აღზრდის საქმეში.

სილოვან კაკაბაძე,
საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი.

მოსე თოიძის სურათის „რთველის“ ფოტორეპროდუქცია.

ᲓᲦᲔᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ

დღეს, 19 ივნვარს, საღამოს 7 საათზე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართება გამოჩენილი ქართველი მხატვრის მოსე თოიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი საიუბილეო საღამო.

ᲗᲐᲝᲑᲐᲗᲐ ᲐᲦᲛᲨᲠᲓᲔᲚᲘ

მოსე თოიძე ახალი ქართული მხატვრობის ერთ-ერთი ფუძემდებელია. დიდია მისი ღვაწლი ახალგაზრდა მხატვართა მომზადებასა და დაოსტატებაში. მთელი თავისი ცხოვრება მან ქართული ფერწერის განვითარების საქმეს მოუზმარა.

მოსე თოიძე თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი თვალსაჩინო პროფესორი იყო.

მოსე თოიძის ქმნილებები ამშვენებენ ეროვნული სახვითი ხელოვნების ისტორიას. მან გაიარა შემოქმედებით რთული და საინტერესო გზა, იგი იზრდებოდა ეროვნული და რუსული კულტურის ტრადიციებზე, შემდეგ კი თვითონ გახდა სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი უდიდესი პროპაგანდისტი და მოღვაწე.

დღეს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უდიდესი უმაღლესი სამხატვრო სასწავლებელია, რომელიც მომდინარე წელს იდღესასწაულებს თავისი არსებობის 50 წლისთავს.

აკადემიის აღზრდილებმა ამ ბოლო 10-12 წლის მანძილზე ხაკავშირო და მსოფლიო სიმპოზიუმებზე არაერთი ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კოლექციები მაღლიერების გრძნობით აღნიშნავს გამოჩენილი მხატვრის, პედაგოგის, ნაზოგადო მოღვაწისა და მოქალაქის მოსე თოიძის დაბადების 100 წლისთავს.

აპოლონ ჟუთათელაძე,
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, პროფესორი.

ᲔᲐᲥᲔᲣᲚᲘᲗᲕᲘᲚᲘ

მოსე თოიძე ახალი ქართული მხატვრობის დიდი მოჰირნახულე და ჩვენში რეალისტური მხატვრობის ერთ-ერთი მამამთავარია. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მოახმარა რეალისტური ფერწერის პრინციპებზე მომავალი თაობის აღზრდას. მის შემოქმედებაში ნათლად ჩანს ქართული მხატვრობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები. მოსე თოიძე მფარველობდა ნიჭიერ ახალგაზრდობას. თავგამოდებით აღვივებდა მათში მხატვრობის სიყვარულს და გადასცემდა მათ მთელ თავის გამოცდილებასა და ცოდნას.

1920 წელს თბილისში, მაშინდელი მუშტაიდის ბაღში ჩამოყალიბებული იყო სხვადასხვა დარგის სკოლები. ეს აქ გავიცანი ჩვენი მოსე. პირველივე შეხვედრამ შემაყვარა იგი, ჯანმაგარი, შესანიშნავი შემოქმედი. მან 13 წლის ბიჭი ისე მიმიღო, როგორც მეგობარი. როცა ჩემი გულუბრყვილოდ დახატული პორტრეტი ნახა, არც კი მაგრძნობინა შეცდომები. მომკიდა ხელი შემიყვანა დარბაზში, დამსვა სამუშაოდ და იმ დღიდან ვგრძნობდი მის ზრუნვასა და სიყვარულს. 1922 წელს მოსე თოიძემ გახსნა სახალხო სამხატვრო სტუდია (მაშინდელ ჩერქეზოვის ქუჩაზე), სადაც თან წამიყვანა, აქ დავმეგობრდით შე, ხოლოვან კაკაბაძე, კოტე მერაბიშვილი, ია ჯაფარიძე, დავითან ძნელაძე და სხვები.

აქ, სტუდიაში მოსე თოიძე ხშირად აწყობდა მოსწავლეთა სურათების გამოფენებს და ჩვენი ნამუშევრების გვერდით ჰფენდა თავისი და თავისი ვაჟის ირაკლის ნაწარმოებებსაც. ამ გამოფენებს დაესწრებდა ქალაქიდან ქალაქში. ერთხელ მან, როდესაც საგამოფენო შენობა ვერ იპოვნა (მაშინ თბილისში საგამოფენო დარბაზი არ არსებობდა), ახლანდელი კულტურის სამინისტროს მოუწყობელი უფანჯრო და უკარებო შენობაში ვესპეზიცია მოაწყო, რომელსაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებრიობაზე.

მინახავს მოსე თოიძე გამოფენებზე, ყრილობებზე, აკადემიაში ჩემთან სახელოსნოში უაღრესად ადამიანური, თბილი, ყურადღებიანი, მასწავლებელი მარტო ის კი არ არის, რომელიც ასწავლის არამედ ისიც, ვისგანაც სწავლობენ. სწორედ ასეთი იყო მოსე, ჩვენი დიდი სულიერი მეგობარი და პედაგოგი.

კორნელი სანაძე,
საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, პროფესორი.

ᲧᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ

(1895 წწ.) და სხვა ნამუშევრები, რომლებიც აჩვენებენ ახალგაზრდა კაცის ნიჭსა და შესაძლებლობებს.

ყმაწვილი კაცი პეტერბურგში სახწავლებლად გაემგზავრა ძმების ჩიტაძეებისა და მაქსიმ გორკის რჩევით. თოიძემ სწავლა სამხატვრო აკადემიაში დიდი რუსი მხატვრის ილია რეპინის დახმარებით დაიწყო. ყოველთვიურად დახმარებას უგზავნიდა ცნობილი ქართველი მოღვაწე დავით სარაჯიშვილი.

აკადემიაში სამხრეთელი ახალგაზრდის ბედსა და მომავალზე ზრუნავდნენ — რეპინი, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, გრაფი თევდორე ტოლსტოი, ცნობილი რუსი გრავიორი მატე. მასწავლებელთა ამგვარი ყურადღებით ყველა სტუდენტი როდი სარგებლობდა... გასული საუკუნის დასასრულს პეტერბურგში სტუდენტთა პოლიტიკური დემონსტრაციები გახშირდა. თოიძე, როგორც სტუდენტთა გაფიცვის მონაწილე, გარიცხეს უკანასკნელი კურსიდან...

საქართველოში დაბრუნებული, დიდ მხატვრულ იღეებს ზიარებული ახალგაზრდა მოსე მოგზაურობს ქალაქებსა და სოფლებში, მოწმე ხდება ცხოვრების საოცარი კონტრასტებისა — ერთი მხრივ მშობლიური მხარის გასაოცარი სილამაზე, მეორე მხრივ კი გამოუვალი სიღარიბე, გაჭირვება, ხალხის ჩაგვრა...

მოსე თოიძემ სადიპლომო სურათი „მცხეთობა“ თანამემამულეებს პირველად 1901 წელს აჩვენა. ჭაბუკის ნიჭი საკვეყნოდ ეწია აღიარებულიეიურიმ თოიძეს „მცხეთობისათვის“ ოქროს მედალი მიაკუთვნა. საქართველოში ეს იყო მხატვრობაზე გაცემული პირველი პრემია... „მცხეთობა“ თოიძემ საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადასცა უსასყიდლოდ. „მცხეთობის“ კომპოზიცია, მისი წყობის მხატვრული სისტემა, პერსონაჟთა დახასიათების კონტრასტულობა, ფართო ფერწერა და მაჟორი კოლორიტისა ამ ნაწარმოებს ახალი ქართული მხატვრობის დიდ და თვალსაჩინო მიღწევად აქცევს და ქართული მწერლობის ტრადიციებთან აკავშირებს.

სამშობლოში დაბრუნების პირველი დღიდანვე მოსე თოიძისათვის შთაგონება შეარჩიოს და გამოპყოს ცხოვრებიდან, გარემოდან ყოველივე მხოლოდ მნიშვნელოვანი და საყურადღებო“.

მოსე თოიძე ახალი დროისა და ნაბჭოთა ხანის ქართული მხატვრობის კოლოსალური ფიგურაა, საეტაპო მისი შემოქმედება. მოსე თოიძის მემკვიდრეობა არა მარტო მისი ხელოვნების მაღალი დონის, არამედ მთლიანად ქართული მხატვრობის დიდი ღირებული, მისი ეროვნულობის, მისი გასუმეორებლობის დადასტურებაა. მოსე თოიძის მემკვიდრეობა დღეისათვის უკვე წარმოადგენს ეროვნულ ტრადიციას. თოიძის მხატვრობა არის დიდი წვლილი, ჩვენი ფერწერის ისტორიაში შეტანილი.

თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მოსე თოიძემ სურათების, ეტიუდებისა და ესკიზების დიდი რაოდენობა შექმნა. მათი რიცხვი ორი ათასს აღემატება.

მოსე თოიძის შემოქმედება, მხატვრის ცხოვრების მთელი გზა ადასტურებს, რომ თოიძე ქართული მხატვრობის საუკეთესო ტრადიციათა მემკვიდრე და საუკეთესო გამგრძელებელია. მოსე თოიძე ახალი დროის ქართული მხატვრობის ისტორიაში შემოდის როგორც დიდი ფერმწერი, მშობლიური ხალხის ცხოვრების, ბრძოლების, გამარჯვებათა და ზეიმთა ამსახველი რეალისტი მხატვარი, მიხვეის დამაშვრალი და ამაგდარი ხელოვანი.

შალვა კვასხვაძე.

ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ

ᲨᲔᲠᲩᲔᲚᲘ და მრავალმხრივი იყო აკადემიკოს მოსე თოიძის ცხოვრებისა და შემოქმედების გზა, განათლებული, უანგარო, დიდი ადამიანური სიყვარულითა და მებრძოლი სულის შემართებით, ხალხის სამსახურისა და ქართული მხატვრობისათვის თავდადების შეენებით.

მოსე თოიძის შემოქმედების გზა არსებითად ახალი დროის ქართული სახვითი ხელოვნების გზაც არის. თოიძის ცხოვრება და მხატვრობა წარმოადგენს ერთგვარ მატიანეს ახალი ქართული ხელოვნებისა. მის მხატვრობაში მთლიანად და საოცარი სიცხადით არის არეკლილი ის პრობლემატიკა და არსი სამხატვრო ცხოვრებისა თუ ძიებათა, რაც კი ჩვენი ქვეყნის სოციალურმა ყოფამ და ახალმა პირობებმა დააყენა ახალი ქართული ხელოვნების წინაშე.

მოსე თოიძის თავისთავად ორიგინალური შემოქმედება იმავე დროს ისტორიულად შემუშავებული საფეხურია ახალი ქართული ხელოვნებისა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქართული ფერწერისა და სამხატვრო განათლების თვალსაზრისით. ჩვენს მხატვრობაში თოიძემ მთელ რიგ შემთხვევებში განავითარა და ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანა, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში ასლად დაუდო საფუძველი ფერწერის არა ერთ ჟანრს. იგი ერთი პირველთაგანი დადგა ქართული საბჭოთა ფერწერის სათავეში და დიდი მოღვაწე-ქმობრივი შემართებით ემსახურებოდა ქართულ საბჭოთა მხატვრობას.

ცხადია, არანაკლებ დიდი და მნიშვნელოვანია თოიძის დამსახურება ქართული საბჭოთა ფერწერის წინაშე, როგორც მხატვარ-პედაგოგისა, აღმზრდელი პროფესორისა.

მოსე თოიძე დაიბადა თბილისში 1871 წლის 21 ივნვარს. პატარა მოსეს კერძო სკოლაში უსწავლია, შემდეგ კი რკინიგზის სასელოსნო სასწავლებელში, სადაც იგი დაუფლებია ერძოდ გაკვეთილებზე — „მეზერლის სტუდიაში“, სადაც გენერლის ბავშვებს ხატვას ასწავლიდნენ. სასელოსნო სასწავლებელი მოსეს წარმატებით დაუმთავრებია და იგი იქვე დუტოვებიათ ხატვა-ხაზვის მასწავლებლად.

ვიდრე მ. თოიძე რუსეთში სამხატვრო აკადემიაში სასწავლებლად გამგზავრებოდა, უკვე დახატული ჰქონდა კ. მარქსის ფერწერული პორტრეტი დროშაზე, ლითოგრაფიული პორტრეტები რუსთაველისა, რ. ერისთავისა, ი. ჭავჭავაძისა, ა. წერეთლისა, ე. ნინოშვილისა, ა. ყაზბეგისა და სხვათა, რომლებიც იმ დროიდანვე უკვე ფართოდ გავრცელდა ხალხში. შემონახულია მისი ადრინდელი ეტიუდები: „ეზო“ და „კალო“ (1893-

საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტისათვის, გზებისა და ხიდების გაუმჯობესებისათვის საჭირო ყველა მასალით, მაგრამ დაზარება შეუსრულებელი დარჩა. კომუნისტებმა გააკრიტიკეს პარტიული ბიუროც მიღებული გადაწყვეტილებებით შექმნილ სიცხადეებისადმი სისტემატური საქმისნი კონტროლის უქონლობისათვის.

ᲐᲜᲐᲮᲝᲛᲘᲥᲛᲔᲑᲘᲡᲐ და შეცდომების პროდუქტების წარმოების გადიდების არსებითი პრობლემების წარმატებით გადაჭრის, სკკპ XXIV ყრილობისა და სხვა პარტიული გადაწყვეტილებებით შექმნილ შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოყენების საქმით დიდი დაინტერესება გამოიჩინეს სოფლის კომუნისტებმა. საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების კრებებზე განსაკუთრებით მწვავედ ისმენდა მიწისადმი ყარაოიანი დამოკიდებულების, თვითეული ჰექტარი სავარგულების ეფექტურად გამოყენების. მეცხოველეობასთან ნაკლებ ყურადღებას ეთმობა ხალხი. ეს ეხება ბაზის შექმნის საკითხები. სოფლის კომუნისტებმა გულმოდგინედ გაუკეთეს ანალიზი სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგებს. დასახეს მომავალი წლისათვის წარმატებით მომზადების, პროდუქტების დამზადებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების ღონისძიებანი.

ᲗᲣᲓᲦᲔᲓᲘᲡ რაიონის სოფელ ახალსოფლის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ კრებაზე კომუნისტები აღნიშნავდნენ, რომ გამგეობისა და პარტიული ორგანიზაციის მიერ სანგარიში პერიოდში განხორციელებულ ღონისძიებათა მეოხებით კოლმეურნეობამ მუშაობაში ძირეულ გარდატეხას მიაღწია. წარმატებით შესრულდა ძირითად სახეობათა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის სახელმწიფო დავალებანი. 121,7 პროცენტით შესრულდა მწვანე ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა, თითქმის ორმაგი გადაჭარბებით შესრულდა დავალება ხორცისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების დამზადების დარგში, გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე მარცვლეულის წარმოებისა და დამზადების გეგმები. ამაში დიდი როლი შეასრულა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებამ, კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებამ, კაცრების განაწილებისა და აღრიცხვის საქმის გაუმჯობესებამ. 48 კომუნისტიდან უშუალოდ მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულია 32. საკოლმეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე გაიგზავნენ გამოცდილი კომუნისტები, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის დავალებების ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლას.

ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜ ერთად პარტიულ კრებაზე მთელი პირდაპირობით იყო ლაპარაკი სამეურნეო საქმიანობის ნაკლოვანებებზეც, გამოუყენებელი რეზერვებზე, პარტიული ორგანიზაციის ამოცანებზე შრომითი და პარტიული დისციპლინის შემდგომ განმტკიცებაში, ჩამორჩენილი დარგების — მეფეთხილეობისა და მეცივტრუსეობის განვითარების საჭიროებაზე. კომუნისტები ა. ჭურღულია, პ. როგავა აკრიტიკებდნენ პარტბიუროს და კოლმეურნეობის გამგეობას დისციპლინის ზოგიერთ დამრღვევთა მიმართ ლიბერალიზმის გამოჩენისათვის.

პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ყოველმხრივ განხილულ-ადგენ ორგანიზაციულ-პარტიული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობას. ამასთან მთავარი ყურადღება მიექცა შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომ განვითარებას, პარტიული კრებების მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკის სრულყოფას იმ მოთხოვნათა მიხედვით, რომლებიც წამოყენებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „იარსლაველის საქალაქო პარტიული ორგანიზაციაში პარტიული კრებების ჩატარების პრაქტიკის შესახებ“. კრებების ყურადღების ცენტრში იყო პარტიული დისციპლინის განმტკიცების, კომუნისტთა მიღებისა და აღზრდის საქმის გაუმჯობესების, წესდებით გათვალისწინებულ მოვალეობათა განხორციელ შესრულებისათვის მათი პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხები.

ᲞᲐᲠᲢᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ მუშაობაში ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘᲡ მოვლენების შესრულების კონტროლი. როგორც ცნობილია, პარტიის XXIV ყრილობამ სკკპ წესდების დებულება ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლების შესახებ გაავ
 ყველა იმ საპროექტო ორგანიზაციის საკოსტრუქტორო ბიუროებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, სასწავლებლების, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამკურნალო და სხვა დაწესებულებების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებზე, რომელთა ადმინისტრაციის ფუნქციები თავიანთი კოლექტივების ფარგლებს არ სცილდება. საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ყოველმხრივ განხილულ-ადენ პირველადი პარტორგანიზაციების ამ უფლების უნარიანად გამოყენების საკითხებს. ბევრ კრებაზე განაზოგადებდნენ ახალ პირობებში მუშაობის პირველ გამოცდილებას.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ ბევრ პარტორგანიზაციას შესაძლებლობა მისცა საფუძვლიანად გაეკეთებინა იმის ანალიზი, თუ სად და როგორ სრულდება პარტიის XXIV ყრილობის მითითებანი იმის შესახებ, რ

საქართველოს ფეხბურთი

სოფლის სიხარული

ახალი სკოლა ქვემო ბარღებში

გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარღების მოსწავლეებმა ძვირფასი საჩუქარი მიიღეს. სოფლის ცენტრში ამ დღეებში ნორჩების ერიამულმა აკვსო საშუალო სკოლის ახალი სამსართულიანი შენობა.

სკოლა აშენა საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 11 მოძრავმა მექანიზებულმა კოლონამ (უფროსი გ. ჯინტავა, მთავარი ინჟინერი გ. საჯაია, სამუშაოთა მწარმოებელი ნ. შარანგია). სკოლას აქვს ნაოელი საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, სპორტდარბაზი, სახელოსნოები.

ახალი სკოლის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე თავი მოიყარა მრავალმა სტუმარმა მეზობელი სოფლებიდან, რაიონებიდან, სოხუმიდან, თბილისიდან. მათ შორის იყვნენ საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე ნ. გურგენაძე, თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი პროფესორი ხ. ჯორბენაძე, უნივერსიტეტის პროფესორები შ. ძიძიგური, შ. მეხნია, ვ. ქვაჩახია, ა. ურუშაძე, დოცენტები კ. ჭრელაშვილი, გ. სუპატაშვილი, პოეტები ი. ნონეშვილი, ხ. ბერულავა, საქართველოს სსრ ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველი რ. ფანცხავა, საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნები ა. ძაძუა, მ. ხვარკელია, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ოტირბა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გ. ძიძარია და სხვ.

საშუალო სკოლის ახალი შენობის გახსნისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა გალის რაიასბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგემ ა. ჩაკვატიამ. მოხსენებით გამოვიდა საშუალო სკოლის დირექტორი ა. გვაძებია.

მიტინგზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა თ. ლაშქარაშვილმა, პოეტებმა ი. ნონეშვილმა, ხ. ბერულავამ, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ოტირბამ, სოციალისტური შრომის გმირმა ნ. ეხვაიამ, მოსწავლე ნ. ჩაკაბერიამ.

მიტინგზე სიტყვით გამოსულმა პროფესორმა ხ. ჯორბენაძემ გულთბილად მიუოცა ბარღებელს ეს შესანიშნავი საჩუქარი და წაიკითხა აგრეთვე აკადემიკოს ი. ვეკუას მილოცვა ბარღებელი მოსწავლეებისა და მასწავლებლებისადმი, მშრომელებისადმი. ხ. ჯორბენაძემ დამსწრეთ აცნობა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შეფობას იღებს ქვემო ბარღების საშუალო სკოლაზე და უახლოეს სანში სკოლაში მოაწყობს ქიმიისა და ფიზიკის კაბინეტებს.

ბარღებელთა ზეიმი გვიან საღამომდე გაგრძელდა.

ი. გოგბეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

სურათზე: გალის რაიონის ხოფელ ქვემო ბარღების საშუალო სკოლის ახალი შენობის ხედი.
ფოტო ლ. შინგელიასი.

ფულადი ჯილდო — მეშახტეებს

ტყიბული. (საკ. კორ.). მეშახტეები უმწიკლო შრომისა და წელთა ნამსახურობისათვის ჯილდოდ მნიშვნელოვან თანხებს იღებენ. ამ მიზნით ლენინის სახელობის შახტაში ახლახან გაიცა 180 ათასი მანეთი, სტალინის სახელობის შახტაში — 124.964 მანეთი, ხოლო ორჯონიკიძის სახელობის შახტაში—102.504 მანეთი.

ლენინის სახელობის შახტას წმინდითი სანგრევის მუშამ ნ. ყვავაძემ წელთა ნამსახურობისათვის მიიღო 386 მანეთი, რ. ხარატიშვილმა — 370 მანეთი, შ. ბრეგაძემ — 363 მანეთი, ხოლო რ. ჯაფარიძემ — 303 მანეთი.

ქარში საჩუქარი

ბათუმი. (საკ. კორ.). საქართველოს სანაოსნოს შემომტა კოდეგ ერთი ტანკერი. ეს არის რიგით 36-ე ხომალდი, რომელსაც ეწოდა საჰაერო ბანდიტებთან შებრძოლებისს გმირულად დალუპულ კომკავშირელი ქალაშვილის ნადეჟდა კურნეტკოს სახელი.

ამალ ტანკერს ერთდროულად შეუძლია წაიღოს 4 სხვადასხვა სახის ნავთობპროდუქტი.

ჭაჭა — დირიქორი, ევილი — ჰიანისტი

ამ კონცერტისათვის შეიძლებოდა გვეწოდებინა ბალანჩივაძეების მუსიკალური ოჯახის ბენეფისი. ქართული სიმფონიური მუსიკის დიდი ოსტატი, ჩვენი გამოჩენილი კომპოზიტორი ანდრია ბალანჩივაძე ამ კონცერტზე წარმოგვიდგა არა მარტო როგორც ავტორი, არამედ ინტერპრეტატორი-დირიჟორიც. გარდა ამისა, იგი პირველად თავის პრაქტიკაში წაუძღვა სხვა კომპოზიტორის ნაწარმოების — ჩაიკოვსკის პირველი საფორტეპიანო კონცერტის საორკესტრო აკომპანემენტს. თვით კონცერტი შესასრულა მისმა ვაჟმა — ახალგაზრდა პიანისტმა ჯარჯი ბალანჩივაძემ.

თითქმის 28 წლის წინათ, სამაულო ომის დროს დაიწერა ა. ბალანჩივაძის პირველი სიმფონია. მას შემდეგ ბევრი სიმფონია შეიქმნა ქართულ მუსიკაში, მაგრამ იგი ღღეგმდე ამ ჟანრის საუკეთესო ნიმუშად დარჩა. თავის დროზე სიმფონია აღინიშნა სახელმწიფო პრემიით.

კონცერტზე კიდევ ერთხელ დავრწმუნდით სიმფონიის უბერებელ თვისებებში — მისი მუსიკალური სახეების ცხოველმყოფელობაში, მხატვრულ გადაწყვეტათა სიცოცხლისუნარიანობაში, სიმფონიური აზროვნების ლოგიკურობასა და ინტენსიურობაში, მის ეროვნულ ფუძეში. რა შეიძლება ითქვას სიმფონიის შესრულებაზე?.. კომპოზიტორი ა. ბალანჩივაძე ჩვენს თვალწინ იქცა შესანიშნავ დირიჟორად. ჩვენ მოწმე ვიყავით ა. ბალანჩივაძის მიერ თავისი პირველი და მეორე სიმფონიების შესრულებისა არა მარტო თბილისში, არამედ მოსკოვსა და გერმანიაში.

საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი დიდი შემოქმედებითი ხალისით უკრავდა ამ დღეს და მსმენელებს შესაძლებლობა მიეცით მთელი სისრულით აღექვათ სიმფონიის პირველი ნაწილის ჩჩქფარე დინამიზმი, მეორე ნაწილის პოეტური ლირიკა, სკერცოს ვაკაცური შემართება, ფინალის ტრაგიკული პათოსი და აპოთეოზის კერიოკა.

მეორე განყოფილებაში ჯარჯი ბალანჩივაძემ დაუკრა ჩაიკოვსკის პირველი საფორტეპიანო კონცერტი. ჯ. ბალანჩივაძეს უკვე რამდენიმე წელია იცნობს ჩვენი მუსიკალური საზოგადოება. იცნობს, როგორც ნიჭიერ და სერიოზულ ახალგაზრდა ხელოვანს. მისთვის განსაკუთრებით ახლოსელია ფაქიზი ემოციური ნიუანსების მქონე მუსიკა, კვრძოდ, შოპენის, შუმანისა და სკრიაბინის პოეტური სამყარო. ამ კომპოზიტორების ნაწარმოებებს იგი დიდი გულმოდგინებით, კეთილშობილი მანერით უკრავს. შედარებით ნაკლებად ვიცნობთ მას, როგორც საკონცერტო ფორმების შემსრულებელს. პირველად მოვისმინეთ მის მიერ შესრულებული ჩაიკოვსკის საფორტეპიანო კონცერტი და მოწმენი გავხდით ამ განმქმული ნაწარმოების სავსებით უჩვეულო და საინტერესო, თუმცა რამდენადმე საკამათო ინტერპრეტაციისა. დირიჟორს (ა. ბალანჩივაძეს) გააზრებული აქვს ეს კონცერტი როგორც ნაწარმოები, რომელშიც ორკესტრს ისეთივე მნიშვნელოვანი როლი ეკისრება, როგორც ფორტეპიანოს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ როიალი ორკესტრის შუაგულში, ეხტრადის სიღრმეში იყო გადატანილი, როგორც „პირველი თანაბართა შორის“. უჩვეულო იყო აგრეთვე ერთგვარად შენელებული ტემპები, საგრძნობლად დაწეული დინამიკური ტონუსი, ლირიკული საწყისის მკვეთრად წინ წამოწევა. პიანისტის ნიჭი ყველაზე მეტად გამოჩნდა კონცერტის კადენციებში, აგრეთვე ბისზე დაკრულ შოპენის ნოქტიურნში.

დამსწრე საზოგადოება გულთბილად მიესალმა გამოჩენილ ქართველ ხელოვანს ანდრია ბალანჩივაძეს და მის ვაჟს — ნიჭიერ მუსიკოს ჯარჯი ბალანჩივაძეს.

გულბათ ტორაძე.

გიწვევთ საკონკურსოდ

გაზეთ „კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

ძვირფასო მკითხველებო!

წელს სრულდება სსრ კავშირის შექმნის ორმოცდაათი წელი.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა მრავალეროვან ოჯახში საქართველოს მშრომელნი ამ დიდ დღესასწაულს ხვდებიან ახალი მიღწევებით შრომაში, მეცნიერებაში, კულტურაში, წარმატებით ახორციელებენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს.

ფაბრიკებსა და ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში — ყველგან, სადაც ჩვენი ადამიანები შრომობენ, დღეს აღმშენებლობითი შრომა.

გაზეთის ფურცლებზე უკეთ რომ ვაჩვენოთ ყოველივე ეს, „კომუნისტის“ redაქციამ გადაწყვიტა გამოაცხადოს კონკურსი საუკეთესო ფოტოსურათზე.

ფოტოკონკურსის მონაწილეებს შესაძლებლობა ეძლევათ აირჩიონ რა თემაც ნებავთ, მაგრამ კონკურსის თაავარი თემა კვლავ არის ჩვენი თანამდროვე ადამიანი — მისი შრომა, სწავლა, დასვენება.

კონკურსზე შეიძლება გამოგზავნოთ აგრეთვე ფოტოსურათები, რომლებიც გვიჩვენებენ ჩვენი ბუნების სილამაზეს, ფოტოეტიუდები და ჟანრული ფოტოსურათები, ფოტორეპორტაჟები, ფოტოარკვევები, ფოტოსერიები.

სურათები შესრულებული უნდა იყოს მაღალ მხატვრულ დონეზე, კომპოზიციურად დამთავრებული.

ფოტოსურათები უნდა გამოიგზავნოს შავ-თეთრი ანაბეჭდების სახით, სულ მცირე 18X24 სმ ზომისა, კრიალა ქაღალდზე დაბსაღებული. თვითეულ სურათს უკანა მხარეზე უნდა დაერთოთ ახსნაგანმარტებითი ტექსტი, უჩვენოთ თქვენი გვარი, სახელი, მამის სახელი, პროფესია, ბინის მისამართი, გადაღების თარიღი.

კონკურტზე უნდა გაკეთდეს წარწერა „ფოტოკონკურსისათვის“.

ნამუშევრების წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 1972 წლის 1 დეკემბერი. მიღებული ფოტოსურათები ავტორებს არ უბრუნდებათ.

კონკურსის მონაწილეთათვის დადგენილია შემდეგი პრემიები:

1. ერთი პირველი პრემია — 100 მან.
2. ორი მეორე პრემია — 70 მან.
3. სამი მესამე პრემია — 50 მან.

პრემიების მისანიჭებლად შექმნილია კონკურსის ეიური სსრ კავშირის სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის თავმჯდომარეობით.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღნიშვნის დღეებში.

ჩვენი მისამართი: 380008, თბილისი, 8, ლენინის ქ. № 14; გაზეთ „კომუნისტის“ redაქცია.

ძვირფასო მკითხველებო! ველით თქვენგან ფოტოსურათებს კონკურსისათვის.

სპორტი

ბაკურიანი — ფოტო ბ. კამენსკისა.

ფეხბურთი გულშემატკივრებს უხმობს

ახალი სეზონი, ახალი პერსპექტივები

თბილისის განუწყვეტლივ თოვს, უჩვეულოდ ყინავს, სადღაა „ბაკურიანის მზის“ მცხუნვარება. და მაინც წლევანდელი ბაკურიანი სულ სხვა გახლავთ, ხალხმრავალი, ზესპორტული. ზესპორტული იმიტომ, რომ კარზე მოგვადგა საპოროს დღეები, დიდი გამოცდისა და დაძაბული სპორტული დღეები.

და აი ამ უჩვეულო ხასიათამური ცივებ-ცხელების დღეებში საკვანძო კანონზომიერად გვიხდება ლაპარაკი დიდ ფეხბურთზე, მის კონტურებზე, რადგან მოთხილამურეებთან ერთად აქ გაცხოველებით ემზადებიან ფეხბურთელებიც.

დიახ, ამ სპორტულ ბაზაზე, სადაც საპოროში გამგზავრების წინ ჩვენი ოლიმპიელები ცხოვრობენ, აგერ ერთ კვირაზე მეტია იმყოფებიან თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები, ისინიც ემზადებიან, და მერე რა საგულდაგულოდ.

გუნდის მომზადებაზე და პერსპექტივებზე საუბარი გვქონდა მწვრთნელთან ბ. ჩრიდლოვან. აი რა გვიამბო მან:

ახალი სეზონი კარზე მოგვადგა. რა თქმა უნდა, ამ ბოლო წლებში ფეხბურთელ-ოთოვს, „ბაკურიანის მზის“ მცხუნვარება. და მაინც წლევანდელი ბაკურიანი სულ სხვა გახლავთ, ხალხმრავალი, ზესპორტული. ზესპორტული იმიტომ, რომ ეს არის, რომ, გარდა პოპულარული ასპარეზობებისა, ფორორიც არის ჩვენი ქვეყნის პირველობა და სსრ კავშირის თასის გათამაშება, დინამოელებს მოუხდებათ უეფა-ს თასისათვის ბრძოლა.

შარშან გვქონდა წარმატებებიც და წარუმატებლობაც. ცხადია, მესამე საპრიზო ადგილი თავისთავად წარმატებად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ გვქონდა სულ მცირე ერთი საფეხურით მაღლა აწევის რეალური შესაძლებლობა. თუ რამ გამოიწვია ზოგიერთი ხარვეზები, ამის მიზეზებს ჩამოთვლას აქ არ შეეუდგები, რადგან ზოგი რამ ფეხბურთის მოყვარულთათვის უკვე ცნობილია, ჩვენ კი, როგორც იტყვიან, შეცდომებზე ვსწავლობთ, ვითვალისწინებთ წარსულის გაკვეთილებს.

სეზონისათვის მზადებას დროულად შევუდექით ჩვენს უმაღლესი ლიგის ყველა კოლექტივი და მათ შორის ჩვენც საგულდაგულოდ ვემზადებით. თბილისელთათვის ეს სეზონი ბევრად უფრო პასუხსაგებია, ვიდრე ადრინდელი. საქმე ის არის, რომ, გარდა პოპულარული ასპარეზობებისა, ოლიმპიადა არის ჩვენი ქვეყნის პირველობა და სსრ კავშირის თასის გათამაშება, დინამოელებს მოუხდებათ უეფა-ს თასისათვის ბრძოლა.

ბუნების დაცვა ჭეშმარიტად ხახალხო საქმეა და ადამიანებისაგან მუდმივ მზრუნველობასა და ყურადღებას მოითხოვს. ულმობელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ყველას, ვინც ხელყოფს სახალხო დოვლათს, ვინც ცდილობს ზიანი მიაყენოს ჩვენს დედაბუნებას.

ხალხის რისხვა უნდა დაატყდეს თავს იმათ, ვინც ქურდულად, მზაკვრულად, არაადამიანურად ეპყრობა უმწეოდ დარჩენილ ნადირ-ფრინველს.

საქართველოს მონადირეთა კავშირის გამეობის პრეზიდიუმი თხოვნით მიმართავს მთელ მოსახლეობას, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მოსწავლე ახალგაზრდობას, ჩვენი ბუნების ყველა ქომაგს განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება ბუნების დასაცავად და უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი ნადირის გადასარჩენად. ეს დიდი პატრიოტული საქმე იქნება.

ს. როსტიაშვილი,
საქართველოს მონადირეთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

(საქდესი).

ლ. მუხაჩევა.

ვ. ვედენინი.

უკანასკნელი სტარტები

ბაკურიანი. 18 იანვარი. (სპეც. კორ.). ორიოდე კვირა გვაშორებს ზამთრის ოლიმპიურ ასპარეზობას საპოროში. იმ უკანასკნელ სტარტებს, რომლებსაც წინასაოლიმპიადო შეგვიძლია ვუწოდოთ, პირველი რიგში უნდა მივაკუთვნოთ სსრ კავშირის თასის გათამაშება.

მცირე შესვენების შემდეგ, დღეს მოთხილამურეებმა განაახლეს ბრძოლა, ეს იყო უკანასკნელი სტარტები. ქალები ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ 5 კილომეტრზე რბოლაში, ვაჟები — 50 კილომეტრზე. მოთხილამურეებს ამინდი ამჯერადაც ხელს არ უწყობდა.

და მაინც ბრძოლა შეუპოვარი გამოდგა. ყველაზე უკეთესი დრო — 20 წუთი და 10,2 წამი აღმოაჩნდა ლიუბოვ მუხაჩევას (ალტიტი) და პირველობაც მას მიეკუთვნა 5 კილომეტრზე რბოლაში. მსოფლიოს ჩემპიონი გ. კულაკოვა გამარჯვებულ ჭალოდ 1 წამით ჩამორჩა.

სტაიერთა ასპარეზობაში 50 კილომეტრზე წარმატება ხვდა მსოფლიოს ჩემპიონს მოსკოველ ვიაჩესლავ ვედენინს. დრო — 2 საათი, 33 წუთი და 35 წამი. მაშ ასე, გენერალური რეპეტიცია დამთავრდა, წინ საპოროა.

ბაკურიანი

ორი მეკარე — მასწავლებელთა და მოწაფე — ა. ოტრიკაძე (მარცხნივ) და ს. ტეფანია.

ტელევიზია

19 იანვარი

პირველი პროგრამით

11.05 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 11.25 — ქართული მხატვრული ფილმი — „მალე გაზაფხული მოვა“, 12.55 — „ხელოვნების ფესტივალი“ — „რუსული ზამთარი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.55 — „ექიმთა დასახმარებლად“, 17.40 — ფეხბურთი ეროვნის საფუძვლების შემსწავლელთათვის. „ტექნიკური პროგრამა და ტექნიკის გამოყენება“, 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — მოსწავლეთათვის — „ორი დღე პიონერთა სასახლეში“, 18.35 — კინონარკვევი, 18.45 — „მოწინავე გამოცდილების სკოლა“, 19.00 — გამოჩენილი ქართველი მხატვრის მოსე თოიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს ტრანსლაცია თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან. შესვენების დროს — „მოპმბე“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი — „უკანასკნელი რელიქვია“.

მეორე პროგრამით

18.20 — სკოლების დასახმარებლად — მათემატიკა (გეომეტრიის პროპედევტიკური კურსი). მეოთხე კლასელთათვის (გადაცემა პირველი), 19.05 — სკოლების დასახმარებლად — ქართული ენა და ლიტერატურა (ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ იდეურ-მხატვრული ანალიზი. მეათე კლასელთათვის), 19.50 — განცხადებები, 19.55 — ტექნიკუმების მოსწავლეთა დასახმარებლად — ლექცია ტექნიკურ მექანიკაში, 20.40 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ხახვაში, 21.40 — მხატვრული ფილმი — „ქარვის ყელსაბამი“ (მეორე სერია).

20 იანვარი

პირველი პროგრამით

11.05 — დოკუმენტური ფილმი — „მსოფლიოს ახალგაზრდა ბალეტი“, 12.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „უკანასკნელი რელიქვია“, 17.05 — აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 17.50 — კინონარკვევი — „მიზიდულობა“, 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — ბავშვებისათვის მოკლემეტრაჟიანი ფილმი — „მოჯადოებული ბიჭი“, 18.55 — მოსწავლეთათვის — „ვიმოგზაუროთ ეროვნის სამყაროში“, 19.35 — განცხადებები, 19.40 — კინონარკვევი — „ილიჩი ლონდონში“, 19.50 — „ლაბტის ფრეში“, 20.10 — „მშენებლობას — მტკიცე ინდუსტრიული ბაზა“, 20.25 — „მომმბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.50 — სატელევიზიო სპექტაკლი — „ეს არ უნდა მომხდარიყო“ (საქართველოს ტელევიზიის დადგმა), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — გადაცემა „ალექსანდრე სვრიაბინი“ (დაბადების 100 წლისთავის გამო).

მეორე პროგრამით

18.20 — სკოლების დასახმარებლად — ეროიდიული ცოდნის პროპაგანდა (რა არის სამართალი. IX-X კლასელთათვის). მეორე გადაცემა, 19.05 — სკოლების დასახმარებლად — მათემატიკა (ცხრილური გამრავლება და გაყოფა პირველ-მეორეკლასელთათვის), 19.50 — განცხადებები, 19.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია პოლიტიკურ ეკონომიაში, 20.40 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მასალათა გამძლეობაში, 21.40 — ქართული მხატვრული ფილმი — „უყაიმო თამაში“.

თეატრები

19 იანვარი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კოლმეურნის ქორწინება; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ნუ გეშინია, დედა; ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩემი სიდედრი.

მფვრთნელი ასპარეზობს ოლიმპიელებს

ჩვენი ქვეყნის ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები სათხილამურო რბოლებში მზაღყოფნით ხვდებიან მომავალი თეთრი ოლიმპიადის პასუხსაგებ ასპარეზობებს, — განაცხადა სსრ კავშირის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვ. კამენსკიმ. — წინასაოლიმპიადო შეხვედრამ სსრ კავშირის თასზე ბაკურიანში შესაძლებლობა მოგვცა საბოლოოდ შეგვემოწმებინა ოლიმპიური კანდიდატების მზადყოფნა, მათი სპორტული ფორმა და საბოლოოდ დაგვეკომპლექტებინა ნაკრები.

აი ეს შევიდა მოთხილამურეთა ნაკრები გუნდის შემადგენლობაში:

ქალები — გალინა კულაკოვა (ოქვესკი), ლიუბოვ მუხაჩევა (ალტიტი), ალევტინა ოლიუნინა (ეორკი), ნინო ფეოდოროვი (ლენინგრადი), გალინა პილიუშენკო (მოსკოვი) და ნინო შებალინი (ლენინგრადი).

ვაჟები — მოსკოველები ვიაჩესლავ ვედენინი, ვლადიმერ ეორონკოვი, ფეოდორ სიმაშოვი და ვალერი ტარასენკოვი, ნოვოსიბირსკელი ვლადიმერ დოლგანოვი, კიროველი ეური სეობოვი, რუდნელი ივანე, გორანინი და უბტელი ივანე პრონინი.

მუშაკეტერები საფარიკაო ბილიკებზე

მურონმეში ფინეთი ჰქონდა რაპერისტ მოფარიკავეთა ასპარეზობას სსრ კავშირის თასზე. ამ პრიზის მფლობელთა სიაში პირველად აღმოჩნდა კიეველი სპორტსმენი ვ. პუტიატინი. ეს მოფარიკავე კარგად არის ცნობილი სპორტულ სამყაროში, იგი უკვე იყო მსოფლიოს ჩემპიონი, მაგრამ თასი პირველად მოიპოვა. მეორე ადგილზე გამოვიდა პ. იგნატოვი, მესამეზე — ა. კოტეშევი.

ავტომანქანა გაიტაცეს...

მთელი დღე დააქროლებდა აღმა-დაღმა სატვირთო ავტომანქანას მძღოლი ჯაბრილ ალოოლი ასკეროვი. მანქანა მარნეულის საკოლმეურნეო ბაზარს ეკუთვნის. მისი დირექტორი ვლადიმერ კარანაძე არც კი დაინტერესებულა, ავტომობილს ასე რატომ დააქროლებდა მძღოლი. ჯ. ასკეროვმა გული რომ იჯერა, ხალამობანს ავტომანქანა ქუჩაში გაიჩერა და თვითონ კინოში შევიდა.

მარნეულის ცენტრალურ მოედანზე მიტოვებული მანქანა რომ დაინახა, სოფელ ყიზილაჯლოელი სპბირ მამედ ოლი მამედოვი ჩაჯდა ავტომანქანაში და ბოლნისის მიმართულებით გააქანა. ნაადრევი გამოდგა გამტაცებლის სიხარული. კილომეტრნახევარი არ ექნებოდა გავლილი, რომ ავტომობილი წინ მიმავალ დმანისის რაიონის კოროვის სახელობის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორს დაეჯახა და გადაეაბრუნა, შემდეგ კი საპირისპირო მიმართულებით მომავალ „მოსკვიჩს“, შეეჯახა, რომელშიც ხუთი პედაგოგი იჯდა და მარცთავდა მასწავლებელი იდიან მუსა-ოღლი იუსუპოვი. მანქანის გამტაცებელი და „მოსკვიჩის“ მძღოლი ადგილზე გარდაიცვალნენ, ხოლო მსუბუქი ავტომანქანის ოთხი მგზავრი საკმაოდ დაშავდა.

ასე ტრაგიკულად დამთავრდა მარნეულის საკოლმეურნეო ბაზრის უპატრონოდ მიტოვებული სატვირთო ავტომანქანის გატაცება.

მ. გიორგაძე,
მილიციის პოლპოლკოვნიკი.

ქვარია მოსდა, ვინ ქრის დამნაშავე?

ავტომანქანა გაიტაცეს...

ჩვენი ბიბლიოთეკა

ბოლოს

ბოლოს

ბოლოს